საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი

MOD 1 17 00000658

07/08/2017

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის პროფესიულ საჯარო მოხელეთა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №402 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ 33-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა)კომისიის თავმჯდომარე:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურისიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი - **გიორგი ცაბაძე;**

ბ)კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს უფროსი - **ეკატერინე კომახიძე;**

გ)კომისიის წევრები:

გ.ა.) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოადგილე - **ბექარ ფიფია;**

გ.ბ.) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს - **რუსუდან კინწურაშვილს,** დაევალოს საპრეტენზიო კომისიის მდივნის ფუნქციის შესრულება.

2. ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საჯარო მოხელეთა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის MOD 5 16 00000914 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ლევან იზორია